

სარეგისტრაციო კოდი _____

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება №
2015 წლის _____ ქ. თბილისი**

**მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების,
განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ**

მუხლი 1

საქართველოს კანონის წყლის რესურსების მართვის შესახებ მე-3 კარის, მე-13 თავის, 43-ე მუხლის „1.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის თანდართული წესი (დანართი № 1).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2015 წლის _____ის
N____ დადგენილებით

დანართი № 1

მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის წესი

მუხლი 1. დადგენილების მიზანი

საქართველოს კანონის „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ შესაბამისად, წყლის რესურსების მართვის ერთ-ერთ ძირითადი პრინციპს წარმოადგენს წყლის რესურსების რეგულირების განხორციელება მდინარეთა სააუზო მართვის მექანიზმის გამოყენების გზით. მდინარეთა აუზების დონეზე წყლის რესურსების დაგეგმვისა და მართვის საფუძველს წარმოადგენს მდინარეთა აუზების მართვის გეგმები. მდინარის აუზის მართვის გეგმა წარმოადგენს სააუზო-ტერიტორიულ ერთეულს - სააუზო უბანს მიკუთვნებული წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების დადგენისა და წყლის რესურსების მონიტორინგის სამართლებრივ საფუძველს.

დადგენილების მიზანია განსაზღვროს სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის წესი.

მუხლი 2. დადგენილების მოქმედების სფერო

მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების წესი ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილ მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის ყველა სააუზო უბანზე.

თითოეული სააუზო უბნისთვის მუშავდება მდინარის აუზის მართვის ცალკე გეგმა.

მდინარეთა სააუზო მართვის გეგმებით გათვალისწინებული პერიოდი მოიცავს 6 წელს. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ უნდა მოხდეს არსებული ინფორმაციის გადახედვა და ახალი გეგმის შედგენა.

მდინარეთა სააუზო მართვის გეგმები შესაბამისობაში უნდა იყოს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების ეროვნულ პროგრამასთან, რომელსაც შეიმუშავებს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სამთავრობო კომისია და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების ეროვნული პროგრამა მოიცავს 15-წლიან საგეგმო პერიოდს და ამავე პერიოდისთვის განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე წყლის რესურსების დაგეგმვისა და მართვის ძირითად მიმართულებებს.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა. მდინარის აუზი – ხმელეთის ტერიტორია, საიდანაც ჩამონადენი ზედაპირული მტკნარი წყალი ჰიდროლოგიურად ურთიერთდაკავშირებული წყლის ნაკადების, მდინარეების, ტბების ან სხვა წყალსატევების გავლით უერთდება ზღვაში ან ტბაში ჩამდინარე მდინარეს;
- ბ. სააუზო უბანი - ხმელეთის ან ზღვის ტერიტორია, რომელიც მოიცავს ერთ ან რამოდენიმე მომიჯნავე მდინარის აუზს, მათთან ასოცირებულ მიწისქვეშა და სანაპირო წყლებს და წარმოადგენს მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის მთავარ ერთეულს;
- გ. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) - წყლის რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ცენტრალური ორგანო;
- დ. ზედაპირული წყლის ობიექტი - ზედაპირული წყლის განცალკევებული და მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორცაა ტბა, წყალსაცავი, ნაკადული, მდინარე ან არხი, ტბის, წყალსაცავის, ნაკადულის, მდინარის ან არხის ნაწილი, გარდამავალი წყალი ან სანაპირო წყლის უბანი, რომელსაც გააჩნია საზღვრები, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის მახასიათებლები;
- ე. მიწისქვეშა წყლის ობიექტი - გარკვეული რაოდენობის ცალკეული მიწისქვეშა წყალი წყლიანი ფენის ან ფენების ფარგლებში, რომელსაც გააჩნია საზღვრები, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის მახასიათებლები;
- ვ. ზედაპირული წყლები – შიდა წყლები (მიწისქვეშა წყლების გარდა), გარდამავალი წყლები და სანაპირო წყლები;
- ზ. მიწისქვეშა წყალი - დედამიწის ქერქის ზედა ნაწილის ქანებში თხევად, მყარ და აირად მდგომარეობაში არსებული წყალი, რომელიც თავმოყრილია ფხვიერ, ფორიან და ან ნაპრალოვან ქანებში, აგრეთვე, კარსტულ სიცარიელებში;
- თ. წყლის რესურსები – ზედაპირული (მათ შორის ხელოვნური წყლის ობიექტების) და მიწისქვეშა წყლების ერთობლიობა;
- ი. შიდა წყლები – ხმელეთის ზედაპირზე არსებული გაუმდინარე ან გამდინარე წყლები და მიწისქვეშა წყლები. შიდა წყლები მოიცავს მდინარეებს და ტბებს,

წყალსაცავებს, სხვა ბუნებრივ და ხელოვნურ ზედაპირულ წყალსატევებს, არხების და ტბორების წყლებს, აგრეთვე მყინვარებსა და თოვლის მუდმივ საფარს და ჭაობებს;

კ. ტრანსსასაზღვრო წყლები - ნებისმიერი ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, რომელიც აღნიშნავს, ან კვეთს საზღვარს სახელმწიფოებს შორის ან განლაგებულია ასეთ საზღვრებზე;

ლ. გარდამავალი წყლები – ზღვის შესართავებთან ახლომდებარე ზედაპირული წყლები, რომლებიც ხშირად დამლაშებულია სანაპირო წყლების ზეგავლენის გამო, მაგრამ რომლებიც, ამავე დროს, მნიშვნელოვნად არის გაჯერებული მტკნარი წყლებით;

მ. სანაპირო წყლები – ნაპირის ხაზიდან ზღვის მიმართულებით ერთი საზღვაო მილის მანძილზე არსებული ზედაპირული წყლები;

ნ. ხელოვნური წყლის ობიექტი - ადამიანის მიერ შექმნილი ზედაპირული წყლის ობიექტი;

ო. ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტი - ზედაპირული წყლის ობიექტი, რომელმაც ადამიანის ქმედებით გამოწვეული ფიზიკური ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა თავისი ბუნება;

პ. ეკოლოგიური ამოცანები - საქართველოს კანონის წყლის რესურსების მართვის შესახებ 30-ე მუხლით გათვალისწინებული ამოცანები, რომელიც დგინდება მდინარეთა აუზების მართვის გეგმების შემუშავების პროცესში წყლის თითოეული ობიექტისათვის და მიმართულია წყლის ხარისხის გაუმჯობესებისკენ;

ჟ. ზედაპირული წყლის სტატუსი (მდგომარეობა) – ზედაპირული წყლის ობიექტის სტატუსის ზოგადი გამოხატულება, რომელიც განისაზღვრება მისი ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსებიდან უფრო ცუდი სტატუსის მიხედვით;

რ. მიწისქვეშა წყლის სტატუსი – მიწისქვეშა წყლის ობიექტის სტატუსის ზოგადი გამოხატულება, რომელიც განისაზღვრება მისი რაოდენობრივი და ქიმიური სტატუსებიდან უფრო ცუდის მიხედვით;

ს. ეკოლოგიური სტატუსი – ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებული წყლის ეკოსისტემების სტრუქტურის და ფუნქციონირების ხარისხის გამოხატულება;

ტ. დაცული წყლის ობიექტი - წყლის ობიექტი, რომელიც შეტანილია დაცული წყლის ობიექტების სახელმწიფო რეესტრში და რომლითვისაც დადგენილია განსაკუთრებული დაცვის რეჟიმი;

უ. წყალსარგებლობა – წყლის რესურსების გამოყენება სასმელი, საყოფაცხოვრებო-კომუნალური, სამრეწველო, ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, სამეცნიერო, კულტურული, რეკრეაციული, ბალნეოლოგიური, სპორტის, ტურიზმის და სხვა მიზნებისთვის, ტექნიკური საშუალებებით ან უამისოდ;

ფ. წყლის რესურსების მართვა - წყლის რესურსებით სარგებლობის რეგულირება, აღრიცხვა, ზედამხედველობა და კონტროლი.

მუხლი 4. მდინარის აუზის მართვის გეგმების შემუშავებაზე, განხილვასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოები

მდინარის აუზის მართვის გეგმების შემუშავებისა და განხილვის პროცესს ორგანიზებას უწევს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

მუხლი 5. მდინარის აუზის მართვის გეგმის ელემენტები და სტრუქტურა

მდინარის აუზის მართვის გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

1 სააუზო უბნის ზოგადი ანალიზი, რაც მოიცავს:

- 1.1. სააუზო უბნის წყლის ობიექტების ტიპიურ მახასიათებლებს (ჰიდროლოგია, ჰიდროგეოლოგია, გეოლოგია და სხვა);
- 1.2. ზედაპირულ ან მიწისქვეშა წყლის ობიექტებზე ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ზეწოლების მიმოხილვას და წყლის გამოყენების ეკონომიკურ ანალიზს¹;
- 1.3. ზედაპირული წყლის ობიექტების ეკორეგიონების და ტიპების განსაზღვრას და ასახვას რუკაზე²;
- 1.4. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტების მდებარეობას და მათი საზღვრების ასახვას რუკაზე, შესაბამისი საიდენტიფიკაციო კოდებით³
- 1.5 ზედაპირული წყლის ობიექტების **reference conditions** იდენტიფიკაციას.

2 ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლის ობიექტების სტატუსზე მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ზეწოლისა და ზეგავლენის და რისკების შეფასების⁴ რეზიუმე, რაც მოიცავს:

- 2.1 წერტილოვანი დაბინძურების სავარაუდო წყაროების ჩამონათვალს;
- 2.2 დიფუზიური დაბინძურების სავარაუდო წყაროებს მიწათსარგებლობის აღწერის ჩათვლით;
- 2.3 წყლის რაოდენობრივ მახასიათებლებზე ზეწოლის შეფასებას წყალალეგებზე ინფორმაციის ჩათვლით;
- 2.4 წყლის სტატუსებზე ანთროპოგენური ზეგავლენის შეფასებას;
- 2.5 რისკის ქვეშ არსებულ და პოტენციურად რისკის ქვეშ არსებულ წყლის ობიექტების ჩამონათვალს.

3. დაცული წყლის ობიექტების (სასმელი წყლის ობიექტის ჩათვლით) რეესტრის⁵ შემუშავება და რუკაზე აღნიშვნა.

¹ EU წყლის ჩარჩო დირექტივა, მუხლი 5. დანართ II

² საქართველოს მთავრობის დადგენილება # ???? წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ.

³ EU წყლის ჩარჩო დირექტივის განხორციელების ძირითადი სტრატეგია, სახელმძღვანელო

დოკუმენტი #9 ჩარჩო დირექტივის გეოსაინფორმაციო სისტემის ელემენტების (GIS) განხორციელება

⁴ EU წყლის ჩარჩო დირექტივის სახელმძღვანელო დოკუმენტი #3 “ზეწოლა-ზემოქმედების ანალიზი”

⁵ EU წყლის ჩარჩო დირექტივა მუხლი 6

4. წყლის ობიექტების ეკოლოგიური სტატუსების⁶ დადგენის მიზნით შემუშავებული მონიტორინგის ქსელის რუკა, რომელიც ასევე უნდა ასახავდეს იმ მონიტორინგის პროგრამების შედეგებს, რომელთა მიხედვითაც მოხდა სტატუსების დადგენა:

- 4.1. ზედაპირული წყლებისათვის (ეკოლოგიური და ქიმიური)
- 4.2. მიწისქვეშა წყლებისათვის (ქიმიური და რადიონობირივი)
- 4.3. დაცული წყლის ობიექტებისათვის ტერიტორიებისათვის

5. ზედაპირული, მიწისქვეშა და დაცული წყლის ობიექტებისათვის დადგენილი გარემოსდაცვითი ამოცანების⁷ ჩამონათვალი, იმ ინფორმაციის ჩათვლით რომელიც მოიცავს გარემოსდაცვითი ამოცანების დადგენის გამონაკლისების⁸ დაშვების შემთხვევებს და მასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციას.

6. გარემოსდაცვითი ამოცანების მიღწევის მიზნით დადგენილი ღონისძიებათა პროგრამის⁹ მოლკე მიმოხილვა.

7. წყალსარგებლობის ეკონომიკური ანალიზის მოკლე მიმოხილვა, რომელიც შემუშავებულია შესაბამისი მეთოდოლოგიით და მოიცავს¹⁰:

- 7.1. წყლის გამოყენებას, მისი ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით;
- 7.2. წყლის გამოყენების ეკონომიკურ ანალიზს;
- 7.3. ეკონომიკური კონტროლის მექანიზმებს;
- 7.4. ხარჯ-სარგებლიანობის შეფასებას, როგორც შერჩეული ღონისძიებების შერჩევის კრიტერიუმს, რათა მიღწეულ იქნას გარემოსდაცვითი ამოცანები.

8. სააუზო-ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში შემუშავებული იმ სხვა პროგრამებისა და მართვის გეგმების ჩამონათვალი და მოკლე აღწერა რომელთაც აქვთ გავლენა ან შესაძლოა ჰქონდეთ გავლენა სააუზო უბნის ტერიტორიაზე არსებულ წყლის ობიექტზე.

9. მდინარის აუზის მართვის გეგმა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შემუშავების ეტაპზე ჩატარებული საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების შესახებ და მათი შედეგების გეგმაში ასახვის შესახებ.

10. მდინარის აუზის გეგმა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აუზის მართვის კომპრეტენტური ორგანოს და მისი ადგილობრივი წარმომადგენლობების შესახებ, აგრეთვე ინფორმაციას საკონტაქტო პირის შესახებ და საბაზისო დოკუმენტებისა და

⁶ EU წყლის ჩარჩო დირექტივის სახელმძღვანელო დოკუმენტი #13 “წყლის სტატუსების კლასიფიკაცია და ეკოლოგიური პოტენციალი”

⁷ EU წყლის ჩარჩო დირექტივა მე-4 მუხლი

⁸ EU წყლის ჩარჩო დირექტივა მუხლი 4-ის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები

⁹ EU წყლის ჩარჩო დირექტივა მუხლი 11

¹⁰ EU წყლის ჩარჩო დირექტივა მუხლი 5, დანართი 3

ამ დებულების მე-6 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების გამოთხოვის პროცედურას.

მუხლი 6. საზოგადოების მონაწილეობა მდინარის აუზის მართვის გეგმების შემუშავებასა და განხილვაში

დაინტერესებულ მხარეთა და საზოგადოების ჩართულობა მდინარის აუზის გეგმების შედგენისას, გადახედვისა და განახლებისას მიზანშეწონილი და აუცილებელია. მდინარის აუზის მართვის დაგეგმვის პროცესში დაინტერესებულ მხარეთა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის მიზანია მათი შეხედულებების ინტეგრაცია გადარწყვეტილების მიღების პროცესში.

მდინარის აუზის მართვის გეგმის მოქმედების პერიოდის დაწყებამდე სულ ცოტა სამი წლით ადრე, დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან კომენტარების მიღების მიზნით, უნდა გამოიცეს და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს გეგმის შემუშავების განრიგი და წესი, აგრეთვე ინფორმაცია დაგეგმილი საკონსულტაციო ღონისძიებების შესახებ.

მდინარის აუზის მართვის გეგმის მოქმედების პერიოდის დაწყებამდე სულ ცოტა ორი წლით ადრე, დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან კომენტარების მიღების მიზნით, უნდა გამოიცეს და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს გეგმის შემუშავების პირველ ეტაპზე შესრულებული სააუზო უბნის ზოგადი ანალიზი, წყლის მართვასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემური საკითხების ჩამონათვლის ჩათვლით.

მდინარის აუზის მართვის გეგმის მოქმედების პერიოდის დაწყებამდე სულ ცოტა ერთი წლით ადრე, დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან კომენტარების მიღების მიზნით, უნდა გამოიცეს და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს გეგმის პროექტი. ამ ეტაპზე გათვალისწინებული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს გეგმის პროექტის საზოგადოებისთვის მიწოდება და საჯარო განხილვა.

დაინტერესებული მხარეებსა და საზოგადოებას წერილობითი კომენტარების გასაკეთებლად უნდა მიეცეს არანაკლებ 6 თვის ვადა.

მოთხოვნის შემთხვევაში, საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ის საბაზისო ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც გამოყენებულ იქნა აუზის მართვის გეგმის შედგენისას.

მდინარის აუზის მართვის გეგმა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შემუშავების ეტაპზე ჩატარებული საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების შესახებ და შედეგების გეგმაში ასახვის შესახებ.

ამ მუხლის მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება აუზის მართვის როგორც პირველად, ასევე განახლებულ გეგმებზე.

მუხლი 7. მდინარის აუზის მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურა

მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავების დაწყებამდე თითოეული სააუზო უბნისთვის სამინისტრო ამტკიცებს გეგმის შემუშავების განრიგს და შეარჩევს გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას. განრიგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აუზის მართვის დაგეგმვის წესისა და საკონსულტაციო ღონისძიებების შესახებ. განრიგი უნდა გამოიცეს მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

თითოეული სააუზო უბნისთვის სამინისტრო ქმნის სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოს და ამტკიცებს მის შემადგენლობას.

აუზის მართვის გეგმის შემუშავების საწყის ეტაპზე უნდა მომზადდეს სააუზო უბნის ზოგადი ანალიზი და წყლის ობიექტების სტატუსებზე ანთროპოგენული ზეწოლა-ზემოქმედების და რისკების შეფასების ანგარიში, რომელიც განხილულ უნდა იქნას როგორც შესაბამისი სააუზო საბჭოს მიერ, ასევე საჯაროდ აუზის დონეზე მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

აუზის მართვის გეგმის პროექტი განხილულ უნდა იქნას შესაბამისი აუზის საბჭოს მიერ, აგრეთვე საჯაროდ, აუზის დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართვით.

გეგმის პროექტის განხილვა აგრეთვე უნდა მოხდეს ეროვნულ დონეზე, შესაბამისი სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით.

სამინისტრო აუზის მართვის გეგმის საბოლოო პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობას.

აუზის მართვის გეგმის დამტკიცება ხდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.